31/10/2024

MES 4 24 0001401601

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 28 ოქტომბერს 10:30 საათზე**. პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=83220655241
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დიმიტრი გეგენავა - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო კვირიკაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ხათუნა ჯიმშელეიშვილი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - საბჭოს მდივანი;
ზვიად გაბისონია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერის მრჩეველი მეცნიერებისა და ინოვაციების საკითხებში, სამართლის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს წევრი;
მარიამ ცენტერაძე - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი:
ვახტანგ ჟვანია - სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი.

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა:
ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი;
ნინო გულეიშვილი - პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო ნარეშელაშვილი - საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი;
ნოდარ მეგრელიშვილი - მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ლევან მადათოვი - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
თეა რუსიტაშვილი - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი;
მაია ხურცილავა - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
თეა ეხვაია - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დაიწო 10:30 საათზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლონდა მინდიაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა 5 წევრი, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა იყო უფლებამოსილი, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ იყო უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის ვიდეო და აუდიოჩაწერა. მან აქვე განმარტა, რომ ჩანაწერი კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურდებოდა ოქმის ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენელსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან ან ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ ფიქსირდებოდა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სახით დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა დღის წესრიგით გათვალისიწნებული საკითხები ექსპერტებს წარმოედგინათ რეზიუმირებულად, თითოეული დაწესებულების ფარგლებში ორივე პროგრამაზე ერთდროულად ესაუბრათ ძირითად მიგნებებსა და შეფასებებზე, გარკვეული ინფორმაციის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, რაც ბუნებრივია, რომ საზიარო იქნებოდა პროგრამების მიხედვით. ხოლო, საბჭო თითოეულ საკითხზე იმსჯელებდა დამოუკიდებლად და სხდომის დღის წესრიგის შესაბამისად მიიღებდა გადაწყვეტილებას.
ლევან მადათოვმა, განაცხადა, რომ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის (შემდგომში - ,,სასწავლო ცენტრი“) პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამებმა, ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ და ,,მოხელის მენეჯერული უნარები“, აკრედიტაციის საბჭოს წინა სხდომაზე გაიარა ხელახალი აკრედიტაცია საკლასო მეცადინეობის ფორმით. ექსპერტმა სხდომაზე დამსწრე პირებს შეახსენა, რომ აღნიშნულ პროგრამებზე საკლასო მეცადინეობის ფორმით პირველადი აკრედიტაცია დაწესებულებამ მიიღო 5 წლის წინ. ამჯერად სხდომაზე განიხილება ზემოაღნიშნული პროგრამების ელექტრონული კურსის ფორმით აკრედიტაციის საკითხი. მისი თქმით, საინტერესოდ დაკომპლექტდა ექსპერტთა ჯგუფი, რადგან ქალბატონი თეა რუსიტაშვილი იყო პირველადი აკრედიტაციის დროს ვიზიტზე დაწესებულებაში, ხოლო თავად ლევან მადათოვი სულ ცოტა ხნის წინ იყო ვიზიტით დაწესებულებაში, შესაბამისად ორივე ექსპერტს ჰქონდა შედარების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონულ ფორმატში როგორც ახალი პროგრამა ისე იქნა წარმოდგენილი. რეალურად, განსხვავება არის მხოლოდ სწავლების ფორმატში. სხვა მხრივ, ტრენერები, რესურსები და პროგრამების

სტრუქტურა არის ანალოგიური. რომ არ ყოფილიყო დუბლირება, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა იმ ტრენერებს რომელსაც ვერ გაესაუბრა მიმდინარე წლის წინა ვიზიტზე. პროგრამების შინაარსი რადგან მსგავსია, ექსპერტები შეეცადნენ მაქსიმალურად დაეფარათ ყველა ტრენერები. ექსპერტთა ჯგუფს არ დაუფიქსირებია ხარვეზები და რეკომენდაციები.

თეა რუსიტაშვილმა დაამატა, რომ 5 წლის წინ ეს იყო აბსოლუტურად პირველი ნაბიჯები, საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების შემდეგ. სიახლე იყო დაწესებულებისთვისაც და ექსპერტებისთვისაც. მან აღნიშნა, რომ სხვაობა ძალიან დიდია, თუმცა ექსპერტები მაინც კონცენტრირდნენ სწავლების მეთოდზე, რაკი ეს ელექტრონულ სწავლებას ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას დისტანციური სწავლების გამოცდილება მაინც აქვს კოვიდ პანდემიით განპირობებული გარემოებების გამო. შესაბამისად ელექტრონული სწავლება არ არის მათთვის სიახლე და შედარებით მომზადებულები არიან ამისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების დირექტორს, ბატონ ვახტანგ ჟვანიას, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ ელექტრონული კურსის განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, ვისაც ამ პროგრამების გავლა სასიცოცხლოდ ესაჭიროება, ცხოვრობს რეგიონში, შესაბამისად დისტანციური სწავლება ბევრად უფრო მათ საჭიროებებზე მორგებულია. აქედან გამომდინარე სასწავლო ცენტრისთვისაც მნიშვნელოვანია ამ პროგრამების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა. სასწავლო ცენტრს დისტანციური სწავლების გამოცდილება აქვს. აქედან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო ცენტრში სრულიად მზად არის გამართულად განახორციელოს პროგრამები. დაწესებულებას შეძენილი აქვს Zoom_ის პლატფორმა, ასევე, სასწავლო ცენტრი იყენებს საგამოცდო პროგრამას, რომელიც გამართულად მუშაობს და ნებისმიერ გამოწვევაზე სათანადო რეაგირების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამების შინაარსიდან და სწავლების მეთოდებიდან გამომდინარე რამდენად ადაპტირებადია მიდგომები საკლასო მეცადინეობის ფორმატიდან ელექტრონული სწავლების ფორმატში და ძირითადად რა გამოწვევები ფიქსირდება, ასევე, შედეგზე გასვლის კუთხით რამდენად ეფექტიანია ელექტრონული სწავლება. დიმიტრი გეგენავამ სთხოვა დაწესებულების დირექტორს დაეფიქსირებინა მისი პოზიცია გამოცდილების კუთხით, ხოლო ექსპერტებს - ამ გამოცდილების შეფასების თვალსაზრისით.

ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ გამოცდილება, რომელიც სასწავლო ცენტრს დაუგროვდა, რეალურად ეფუძნება რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს. ერთ-ერთი არის ტრენერები, რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება პირველ რიგში პირისპირ განხორციელებული მეცადინეობების. აქედან გამომდინარე, პირველ ეტაპზე, როცა დისტანციური სწავლება დაიწყო, სასწავლო ცენტრმა, მაშინ ბევრად უფრო რეალური იყო გამოწვევები. თუმცა, ტრენერებმა შეძლეს და პანდემიის პერიოდში სწორად ჩამოაყალიბეს მიდგომები და შეიმუშავეს მეთოდები, რომლითაც ეფექტურად შეძლეს მუშაობა დისტანციური სწავლების დროს. სასწავლო ცენტრს ახალი ტრენერებიც შემოუერთდნენ ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ მთავარი ბირთვი, რომელიც ამ პროგრამებს ახორციელებდნენ თავიდანვე, შენარჩუნებული ჰყავს დაწესებულებას და ხდება მათი გამოცდილების გაზიარება. სწავლება დინამიკური პროცესია და როგორც სასწავლო ცენტრი, ასევე ტრენერები პასუხობენ გამოწვევებს. ამ წლების დაგროვილმა გამოცდილება მისცა სასწავლო ცენტრს შესაძლებლობა მაღალი ხარისხით განახორციელონ პროგრამები.

ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ ექსპერტებს, უფრო მეტად, კითხვები ჰქონდათ ისეთ მოდულებთან დაკავშირებით, როგორიც არის გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი, რაც

უფრო მოითხოვს მსმენელთა ჩართულობას, თუ რა მეთოდოლოგიას იყენებდნენ ტრენერები სწავლების დროს. ექსპერტები ასევე დაინტერესდნენ გამოცდების ჩატარების საკითხებით. სასწავლო ცენტრი გამოცდებისთვის იყენებს Socrative-ის პლატფორმას, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტურად და სანდოდ გამოცდების ჩატარებას. სასწავლო ცენტრს აქვს შეძენილი აღნიშნული პლატფორმის ლიცენზია. სალექციო პროცესში მსმენელების ჩართულობას უზრუნველყოფს ტრენერი. მეორე მხრივ სასწავლო ცენტრის წარმომადგენლის მხრიდან კონტროლდება მსმენელების ჩართულობა.

თეა რუსიტაშვილმა დამატებით განაცხადა, რომ ტრენერებთან მიმართებით ექსპერტების მთავარი კითხვა იყო რამდენად იცვლება პროგრამის განხორციელების მიდგომები და პრაქტიკული სავარჯიშოები ელექტრონული კურსის ფორმატით სწავლების დროს. ტრენერთა მხრიდან დადასტურდა, რომ მეთოდები განსხვავებულია. ასევე, გარკვეული პრაქტიკული სავარჯიშოების შეტანა დისტანციურად სწავლების დროს შეუძლებელია, ამიტომ ნაწილი იცვლება და ნაწილი ადაპტირდება. ექსპერტები ვიზიტის დროს დაინტერესდნენ ელექტრონული კურსის ფორმატით განხორციელების ეფექტიანობით, თუმცა თანამედროვე სამყარო ითხოვს დისტანციურად სწავლებას და ამ ეტაპზე რაც არის საჭირო, ის მზაობა აქვს სასწავლო ცენტრს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

1. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „მოხელის მენეჯერული უნარები“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმატება უსურვა სასწავლო ცენტრს.

მესამე საკითხი: სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

მეოთხე საკითხი: სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

მეხუთე საკითხი: სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

მეექვსე საკითხი: სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მაია ხურცილავას. მაია ხურცილავამ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 4 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის (შემდგომში - ,,ჟვანიას სკოლა“) პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების, ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ და ,,მოხელის მენეჯერული უნარების“, ელექტრონული კურსის ფორმატში აკრედიტაციის მიზნით, ხოლო საკლასო მეცადინეობის ფორმით განხორციელების მიზნით აკრედიტაციის მოპოვების მიზნით - 5 და 6 სექტემბერს. პროგრამების განხორციელების ფორმის მიუხედავად, ძირითადად დასკვნები არის მსგავსი, ამიტომ ექსპერტებმა განიხილეს ჯერ საკლასო მეცადინეობის ფორმატით სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამები, ხოლო შემდეგ ელექტრონული კურსის ფორმატში.

პროგრამები საკლასო მეცადინეობის ფორმით ხორციელდება 15 მისამართზე მთელი საქართველოს მასშტაბით, რიგ შემთხვევაში პროგრამები ხორციელდება ჟვანიას სკოლის საკუთარ ფართში, რიგ შემთხვევაში დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ვიზიტი განხორციელდა სკოლის ძირითად მისამართზე, ქალაქ ქუთაისში, სკოლის ცენტრალურ კორპუსში. ვიზიტის ფარგლებში, ასევე, შემოწმდა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ სატრენინგო სივრცეში და მოხდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრება. მათ დაადასტურეს მემორანდუმში გაწერილი პირობები და შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში ჟვანიას სკოლას მიეცემა საშუალება განახორციელოს ზემოაღნიშნული პროგრამები. ვიზიტის ფარგლებში დისტანციური შეხვედრა ჩატარდა სხვა პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთანაც. ექსპერტები გაესაუბრნენ: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, როგორც ახალციხის, ისე ახალქალაქის მისამართებიდან, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - კოლეჯ ,,აისის” და სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მარნეულის რეგიონული სასწავლო ცენტრის წარმომადგენლებს. ყველა მათგანმა დაადასტურა მზაობა პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით. დაწესებულება მსმენელებს ქუთაისის მისამართზე სთავაზობს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის შესაძლებლობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია პროგრამების საკლასო მეცადინეობის ფორმატით განხორციელების შემთხვევაში.

პროგრამები შინაარსობრივად შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით (შემდგომში – ,,მთავრობის დადგენილება“) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სკოლად ამჟამად გადის ხელახლა აკრედიტაციას, აღნიშნულ პროგრამებზე პირველადი აკრედიტაცია სკოლამ გაიარა 2019 წელს. ამ პერიოდში, პანდემიიდან გამომდინარე, პროგრამები განხორციელდა როგორც საკლასო მეცადინეობის, ისე ელექტრონული კურსის ფორმით და ამ მხრივ დააგროვეს საკმაოდ ღირებული გამოცდილება.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის ხელმძღვანელს, პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს, სატრენინგო პროგრამების სპეციალისტს, პროგრამების სპეციალისტს, საჯარო მართვის და ადმინისტრირების პროგრამების მენეჯერს, ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლებს, მათ შორის ფინანსურ მენეჯერს, ინფრასტრუქტურის, ქონების და მარაგების სპეციალისტს, ლოჯისტიკის სპეციალისტს, მონიტორინგისა და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებს, ადამიანური რესურსების მართვისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების კოორდინატორს და ტრენერებს დისტანციურ რეჟიმში. ინტერვიუირებითაც დადასტურდა, რომ სკოლაში პროცესები ამ წლების მანძილზე წარმართულია შიდა რეგულაციების დაცვით. მონიტორინგისა და ხარისხის სამსახურმა წარმოადგინა შესაბამისი ანგარიშები და დასკვნები. ექსპერტთა მხრიდან არ დაფიქსირებულა ხარვეზები და არ გაცემულა რეკომენდაციები.

რაც შეეხება პროგრამების ელექტრონული კურსის ფორმატში განხორციელებას, ეს არის პროგრამების პირველი აკრედიტაცია, მაგრამ როგორც უკვე იქნა აღნიშნული, დაწესებულებას ამ მიმართულებითაც აქვს უკვე გამოცდილება. დისტანციური ფორმატით პროგრამების განხორციელების ფარგლებში ტრენერებს აქვთ შესაძლებლობა ტრენინგები ჩაატარონ როგორც თვითონ ჟვანიას სკოლის ქუთაისის მისამართიდან, ასევე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის - ,,ალტერბრიჯი" მისამართებიდან, რაც დასტურდება მათთან გაფორმებული მემორანდუმებით.

ელექტრონული კურსის ფარგლებშიც პროგრამები შინაარსობრივად შესაბამისობაშია მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფს არ დაუფიქსირებია ხარვეზები და არ გაუცია რეკომენდაციები. მხოლოდ რჩევის სახით დაფიქსირდა შემდეგი: 1. სასურველია თითოეული კურსის ელექტრონულ ფორმატში სწავლების დროს გამოყენებული იყოს აკადემიური მუშობისთვის განკუთვნილი პორტალი, მაგალითად როგორიც არის Mentimeter, Kahoot. 2. სასურველია სასწავლო რესურსის ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომობის გაზრდა; 3. სასურველია ელექტრონული სწავლების ფორმატში პროგრამის განხორციელებისთვის ტექნოლოგიური რესურსების განახლება/გაძლიერება ქუთაისის ლოკაციაზე, კერძოდ, ძლიერი ტექნიკური მახასიათებლების კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

თეა ეხვაიამ დაამატა, რომ ჟვანიას სკოლა წარმატებით იყენებს მონიტორინგის კითხვარებს და ახდენს ამ უკუკავშირის აკუმულირებას შემდგომი განვითარების მიზნით. მან აღნიშნა, რომ სკოლის გააჩნია ყველა რესურსი, იმისთვის, რომ წარმატებით განახორციელოს პროგრამები სწავლების ორივე ფორმატით.

ჟვანიას სკოლის დირექტორმა, ქეთევან ჯაყელმა, მისი სიტყვა დაიწყო მადლობით ექსპერტების მიმართ, რომელთაც კვალიფიციურად განახორციელეს მათი მოვალეობა ვიზიტების ფარგლებში და აღნიშნა, რომ ჟვანიას სკოლა მუდმივად ღიაა რეკომენდაციებისათვის და აღნიშნული ვიზიტების ფარგლებშიც საკმაოდ საინტერესო დისკუსიები წარიმართა ექსპერტებთან. ჟვანიას სკოლაში ელექტრონული სწავლების მეთოდები აპრობირდა პანდემიის პერიოდში. ამ გამოცდილების ფარგლებში ჟვანიას სკოლა მუდმივად სწავლობდა და აანალიზებდა შედეგებს და საჭიროებებს, რაც ახლდა პროგრამების განხორციელების პროცესს. დღეისთვის ჟვანიას სკოლა უკვე მუშაობს მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო რესურსების მობილიზებაზე და განვითარებაზე. ჟვანიას სკოლის მომავალი წლის გეგმაში არის გათვალისწინებული და შესაბამისი ფინანსური რესურსიც არის გამოყოფილი, რომ სკოლამ შექმნას საკუთარი სასწავლო პლატფორმა, რომელსაც გამოიყენებს ჟვანიას სკოლა ტრენინგების

დისტანციურად განსახორციელებლად. ქეთევან ჯაყელმა, ასევე, ხაზი გაუსვა, რომ ჟვანიას სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ტრენერთა კორპუსი. სკოლა ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს, იმას, რომ ტრენერები იყვნენ მოქმედი საჯარო მოხელეები ან საჯარო სექტორში მომუშავე ან საჯარო სექტორში წარმატებული გამოცდილების მქონე პირები.

ჟვანიას სკოლამ პირველი აკრედიტაციის შემდეგ შეინარჩუნა ტრენერების ძირითადი ბირთვი და ასევე მოხდა ნაწილი ტრენერების ჩანაცვლება და ახალი ძალების ჩართვა პროცესებში. ჟვანიას სკოლა ინარჩუნებს მის პირვანდელ მიდგომას, რომ თითო მიმართულებით ჰყავდეს სამი ან ოთხი ტრენერი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამების შეუფერხებელი განხორციელება.

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ჟვანიას სკოლის დირექტორმა დაადასტურა, რომ 15 ლოკაციიდან უმეტესობა არის ჟვანიას სკოლის რეგიონული სასწავლო ცენტრები, ხოლო იმ შემთხვევაში სადაც არ აქვს სასწავლო ცენტრები, სკოლა თანამშრომლობს სასწავლო დაწესებულებებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

3. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „მოხელის მენეჯერული უნარები“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ,,მოხელის მენეჯერული უნარების“ აკრედიტაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „მოხელის მენეჯერული უნარები“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ 11:10 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯიმშელეიშვილი ხათუნა



ელექტრონული
ეროვნული
ეროვნული